პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 290 (13106) | შაბათი, 12 დეკემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.



დედაქალაქი მოსკოვი.

ფოტო ნ. გრანოვსკისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა)

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოამზადა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებთან, სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად იმ შესწორებათა გათვალისწინებით, რომლებიც შეიტანეს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებმა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ.

მუხლი 2. დამტკიცდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

	(%-ად პროცენტობით 1964 წელთან შედარებით)
ეროვნული შემოსავალი, გათვალისწინებული მოხმარებისა და დაგროვებისთვის	— 8,0 პროცენტი
მრეწველობის საერთო პროდუქცია	— 8,1 პროცენტი
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	— 8,2 პროცენტი
მოხმარების საგნების წარმოება	— 7,7 პროცენტი
სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი	— 11,3 პროცენტი
ძირითადი ფონდების ამოქმედება	— 11,8 პროცენტი
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	— 7,1 პროცენტი
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	— 5,7 პროცენტი
მშენებლობაში	— 6,0 პროცენტი
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	— 7,9 პროცენტი.

მუხლი 3. მოწონებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული წინადადებანი საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის შემდგომი ამაღლების შესახებ და 1965 წელს განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1965 წლის 1 იანვრიდან (ნაცვლად 1965 წლის მეორე ნახევრისა ადრე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით) ხელფასის მინიმალური ოდენობა თვეში 40-45 მანეთამდე გაუდიდდეთ მუშებსა და მოსამსახურეებს სახალხო მეურნეობის ყველა ღარგში, სადაც ეს ჯერ არ განხორციელებულა;

1965 წლის 1 მაისამდე (ნაცვლად 1965 წლის მეორე ნახევრისა ადრე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით) მოემატოთ ხელფასი სანინა-კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ხელოვნების დაწესებულებების, გამომცემლობების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, დამამზადებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების, დაცვის, სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მუშაკებს;

შემცირდეს ცალკეულ სახეობათა მედიკამენტების საცალო ფასები, გადიდდეს იმ მედიკამენტებზე სახსრების ხარჯვის ნორმები, რომლებიც უფასოდ ეძლევათ საავადმყოფოებში, ინვალიდთა და მოხუცთა სახლებში სამკურნალოდ მყოფ ავადმყოფებს, აგრეთვე დამატებით უფასოდ გაიცეს მედიკამენტები ზოგიერთი კატეგორიის ავადმყოფებისთვის;

გადიდდეს 1964 წელთან შედარებით:

საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა სახელმწიფო მშენებლობის ხაზით	— 13,0 პროცენტით
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა	— 18,7 პროცენტით
ადგილების რიცხვი სბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე არიან	— 14,1 პროცენტით
მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში	— 27,5 პროცენტით.

მუხლი 4. დავალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა სხდომებზე გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს მათი მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წ. 11 დეკემბერი.

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების მოხსენებათა მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 99.700.218 ათასი მანეთის ოდენობით და სულ გასავლის ნაწილში 99.535.600 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 164.618 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 2. დაწესდეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან სულ 91.791.070 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — ქიმიური, ნავთობის, მანქანათსამშენებლო და მძიმე მრეწველობის სხვა დარგების, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, სანინა-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 42.362.416 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობისა და განათლების და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, სბავშვო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 37.453.505 ათასი მანეთის ოდენობით, მათ შორის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 10.449.083 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დამტკიცდეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალში ასიგნობანი 988.000 ათასი მანეთის ოდენობით, რათა 1965 წლის 1 იანვრიდან ხელფასის მინიმალური ოდენობა გაუდიდდეთ ყველგან მუშებსა და მოსამსახურეებს 40-45 მანეთამდე თვეში, 1965 წლის 1 მაისამდე დამთავრდეს სახალხო მეურნეობის იმ დარგების მუშაკთა ხელფასის მომატება, რომლებიც უშუალოდ მოსახლეობას ემსახურება, გადიდდეს სახსრების ხარჯვის ნორმები საავადმყოფოებში, ინვალიდთა და მოხუცთა სახლებში ავადმყოფების მკურნალობისათვის მედიკამენტების შესაძენად, დამატებით უფასოდ მიეცეს მედიკამენტები ზოგიერთი კატეგორიის ავადმყოფებს, აგრეთვე შემცირდეს მედიკამენტების საცალო ფასები.

მუხლი 6. დაწესდეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის 12.789.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7. დაწესდეს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის შესანახავად 1.152.265 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 8. დამტკიცდეს 1965 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 46.398.287 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 46.238.669 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 164.618 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 9. დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 54.527.296 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

	(ათასი მანეთი)
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	31.552.385
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	9.282.721
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.660.532
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.840.797
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.981.224
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	945.028
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	930.849
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	765.495
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	512.946
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	562.794
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	530.672
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	491.414
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	603.618
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	461.526
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	405.295

მუხლი 10. დამტკიცდეს 1965 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადის შემოსავლიდან: რუსეთის სფს რესპუბლიკის ბიუჯეტში — 29,2 პროცენტი, უკრაინის სსრ — 33,5 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 52,7 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 89,9 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 100 პროცენტი, საქართველოს სსრ — 89,3 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 93,8 პროცენტი, ლიტვის სსრ — 79,9 პროცენტი, მოლდავეთის სსრ — 33,7 პროცენტი, ლატვიის სსრ — 18,2 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ — 89,7 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 99,3 პროცენტი, სომხეთის სსრ — 100 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 100 პროცენტი, ესტონეთის სსრ — 55,1 პროცენტი;

ბ) 1965 წლის 3-პროცენტიანი სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის გავრცელების თანხიდან — 50 პროცენტი;

გ) ტაჯიკეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადისგან — 100 პროცენტი.

1965 წლის საკავშირო ბიუჯეტის სახსრებიდან გამოეყოს ყაზახეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 1.086.063 ათასი მანეთი, სომხეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს — 57.014 ათასი მანეთი და თურქმენეთის სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს 82.288 ათასი მანეთი იმ ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმით.

მუხლი 11. დავალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათი მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წ. 11 დეკემბერი.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 89.538.037 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 86.998.899 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 2.539.138 ათასი მანეთის გადამეტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წ. 11 დეკემბერი.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1964 წ. 11 დეკემბერი.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1964 წ. 11 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ მუშაობა დაამთავრა

11 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში 16 საათზე გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ბ. ი. პოროფოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. პოსიპინს, ა. ი. მიქოიანს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს, ვ. ვ. გრიშინს, ძ. ტ. მაზურუს, ვ. პ. მეკპანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, ი. ვ. ანდროპოვს, ლ. თ. ილიჩოვს, ა. პ. რუდაკოვს, ვ. ნ. ტიტოვს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ საბოლოო სიტყვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. ნ. პოსიპინმა. მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირის 1965 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები ერთსულოვნად მიიწონეს დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში, წამოყენებულია დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი. დეპუტატებმა გამოიჩინეს დიდი დაინტერესება, რომ აირჩიონ კომუნისტური მშენებლობის იმ დიდებული გეგმების განხორციელების უკეთესი გზები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით არის დასახული. უდიდესი ყურადღება, რომლითაც ყველა საბჭოთა ადამიანი თვალყურს ადევნებს სესიის მუშაობას, და გეგმისა და ბიუჯეტის განხილვის მთელი მიმდინარეობა დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ამ პროექტებით გათვალისწინებული დავალებანი შეესაბამება საბჭოთა ხალხის მისწრაფებებს.

ორივე პალატის დეპუტატები ცალ-ცალკე კენჭისყრით ერთხმად იღებენ კანონს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ საბიუჯეტო და ეკონომიური კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

შემდეგ სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა ვ. თ. ბარბუზოვმა.

დეპუტატები ცალ-ცალკე, პალატების მიხედვით, შეუდგნენ კენჭისყრას. კანონი სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მიღებულია ერთხმად.

ერთხმად მიღებულია აგრეთვე დადგენილება სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის — საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის შესახებ სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს დეპუტატ ნ. ვ. პოდგორნის. იგი ამბობს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე შეიქმნა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესამუშავებელი კომისია, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იყო ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი. ამ სესიამ მიიღო დადგენილება, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ხანდაზმულობისა და ჯანრმთელობის გაუარესების გამო. არის წინადადება, რომ განთავისუფლდეს იგი საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით დეპუტატ ნ. ვ. პოდგორნის წინადადება შემოაქვს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიონ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

დეპუტატები ერთხმად იღებენ დადგენილებას საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის არჩევის შესახებ.

მიღებულია აგრეთვე დადგენილება საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლების შესახებ.

დღის წესრიგის მეხუთე პუნქტის გამო სიტყვა ეძლევა დეპუტატ ნ. ზარიპოვას, რომელმაც აცნობა დეპუტატებს, რომ ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს უკანასკნელ სესიაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია მ. ხოლოვი. ტრადიციისამებრ მისი კანდიდატურა დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევისათვის.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატ მ. ხოლოვის არჩევის შესახებ.

მიღებულია აგრეთვე დადგენილება დეპუტატ მ. რახმატოვის განთავისუფლების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

შემდეგ სესიებს შორის გამოცემულ ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა მ. ჯ. გიორგაძემ.

დეპუტატები ერთხმად ამტკიცებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს, რომლებიც მიღებულია სესიებს შორის.

ამით მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ. (საკდესი).

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის საბოლოო სიტყვა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1964 წლის 11 დეკემბერს

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო! ეროვნებათა საბჭოსა და კავშირის საბჭოში დამთავრდა 1965 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვა.

დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში ერთსულოვნად მიიწონეს ეს პროექტები. გამოხმაურება, რაც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა რაიონიდან მოდის მოწმობს, რომ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ფართოდ უჭერენ მხარს იმ ღონისძიებებს, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს და თავიანთ გამოსვლებში მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა.

განხილვის დროს დეპუტატებმა წამოაყენეს დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი, რომ დაჩქარდეს სოციალისტური წარმოების ზრდის ტემპები, ამაღლდეს სახალხო მეურნეობის ტექნიკური დონე და სისტემატურად გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი. მათ აღნიშნეს, რომ გვაქვს ამ წინადადებათა განხორციელების კონკრეტული რეზერვები და შესაძლებლობანი.

საბიუჯეტო კომისიებმა შემოიტანეს წინადადებანი, რომ დაახლოებით 160 მილიონი მანეთით გადიდდეს კვების პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის 1965 წლის გეგმა.

ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ შემოიტანა წინადადება, რომ დამატებით გადიდდეს კაპიტალური დაბანდებანი მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა განვითარებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა საბიუჯეტო კომისიებისა და ეკონომიური კომისიის წინადადებანი და შესაძლებლად მიაჩნია მათი მიღება. საჭირო ცვლილებანი იქნება შეტანილი სახალხო-სამეურნეო გეგმაში.

დეპუტატებმა ახუნდოვმა, ბოდიულმა, ეგორიჩევმა, კისელიოვმა, კაბალოევმა, ყურბანოვმა, ლედკოვმა, მელნიკმა, მაცკევიჩმა, იაროსლავცევამ და სხვებმა მოიწონეს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს, და წამოაყენეს წინადადებანი, რომ შემდგომ გაფართოვდეს საბინაო მშენებლობა, საავადმყოფოების, სკოლების, სბავშვო დაწესებულებების მშენებლობა.

1965 წლის გეგმით გათვალისწინებულია გადიდდეს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 11 პროცენტით 1964 წელთან შედარებით. ეს ძალიან დიდი მატებაა. ასეთი მატება უკანასკნელ წლებში არა გვქონია.

წლიური გეგმის შესრულების დროს შეიძლება გამოვლინდეს დამატებითი რესურსები წარმოების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და სახსრების უფრო მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად. გამოვლინებული დამატებითი რესურსები მოხმარდება სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. მაშინ შეიძლება გავითვალისწინოთ დეპუტატების წინადადებანი კაპიტალურ დაბანდებათა დამატებითი გადიდების შესახებ.

დეპუტატებმა კაჩალოვმა, კაზაჩეცმა, კისელიოვმა და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში გამოთქვეს შენიშვნები 1965 წლის საგეგმო დავალებათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გამო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დაავალებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად დამატებით განიხილოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კონკრეტული საკითხები, რომლებიც დეპუტატებმა დააყენეს თავიანთ გამოსვლებში, და მიიღოს მათ შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

ბევრმა დეპუტატმა აგრეთვე შემოიტანა წინადადება, რომ გამოინახოს დამატებითი სასაქონლო რესურსები 1965 წლის განმავლობაში. ამ წინადადებებს უნდა დავეთანხმოთ. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ ამ მხრივ.

როგორც ზოგიერთმა დეპუტატმა აღნიშნა, მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში კვების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრენი ვერ უზრუნველყოფენ ყურძნის, ბოსტნეულის, ხილის, შაქრის ჭარხლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის გადამუშავებას.

ამ საკითხის დაყენება ყურადღების ღირსია. 1965 წლის გეგმით გათვალისწინებულია გადიდდეს სახსრები კვების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეების გასაფართოებლად. ცალკეულ შემთხვევებში საჭირო იქნება გამოყოს საბანკო კრედიტი ამ წარმოებათა სიმძლავრეების დამატებით გაფართოებისათვის. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სახალხო მეურნეობის საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ ახალ სიმძლავრეთა დროზე ამოქმედება.

დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში დასვეს შავი მეტალურგიის, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის, ელექტროენერგეტიკისა და მძიმე მრეწველობის სხვა დარგების შემდგომი განვითარების საკითხები. ყველა ეს საკითხი გადაიჭრება 1966-1970 წლების გეგმის შემუშავების დროს.

ამასთანავე დეპუტატები თავიანთ გამოსვლებში სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ მეურნეობის დაგეგმვასა და მართვაში არსებითი ხაკლოვანებებია. აღინიშნა საგეგმო ორგანოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, კომიტეტების არასაკმაოდ ზუსტი მუშაობა. კერძოდ, აღინიშნა, რომ შეთანხმებული არ არის წარმოების, მშენებლობის გეგმები და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმები, რომ ხელა განიხილავენ და წყვეტენ გეგმის შესრულების დროს წარმოშობილ საკითხებს, დეპუტატებმა მოიყვანეს ფაქტები, როცა გეგმაში შეაქვთ ისეთ ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოება, რომელიც ვერ საღდება.

დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ სახალხო

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის საბოლოო სიტყვა

(დასასრული)

მეურნეობის ცალკეული რგოლების მართვის სტრუქტურა გაოთულებულია, გაბერილია ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შტატები, მოქმედებს ბევრი პარალელური, მდუბლირებული ორგანიზაცია. წარმოებაში იკარგება ბევრი სამუშაო დრო, არის მუშახელის დეფიციტი. ბევრი ნაკლი აღნიშნეს დეპუტატებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგშიც.

ხელმძღვანელმა სახელმწიფო ორგანოებმა უნდა განიხილონ დეპუტატების წინადადებანი და გასცენ პასუხი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აგრეთვე მიიღებს საჭირო გადაწყვეტილებებს.

1965 წლის გეგმა ითვალისწინებს ეროვნული შემოსავლისა და მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპების დაჩქარებას. ამ პირობებში განსაკუთრებით საჭიროა, რომ ყველა საწარმო წლის დამდეგიდანვე აძლიერებდეს წარმოების განვითარების ტემპებს და ასრულებდეს სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში სახალხო-სამეურნეო გეგმები დაგვიანებით მტკიცდება, რაც გარკვეულ ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას. არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, როცა გეგმები მტკიცდება დეკემბერში. მთავრობა აქედან საჭირო დასკვნებს გამოიტანს. როგორც წესი, სახალხო-სამეურნეო გეგმები უნდა მტკიცდებოდეს წლის დამდეგამდე ერთი კვარტალით ადრე. სწორი არ არის აგრეთვე, რომ დამტკიცებული გეგმები დიდხანს ვერ აღწევენ საწარმოებამდე, რის შედეგადაც I კვარტალში ბევრი საწარმო პრაქტიკულად უგეგმოდ მუშაობს. ეს შეუწყნარებელია.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა და საგეგმო ორგანოებმა მთელი ყურადღება უნდა დაუთმონ იმას, რომ საწარმოებს გაეგზავნოთ გეგმის დავალებანი, რათა მათ უმოკლეს ვადაში ჰქონდეთ მომავალი წლის დამტკიცებული გეგმა. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

მუშაობა გეგმების დროზე გაცნობისათვის უნდა წარმოებდეს შემოქმედებითად, ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოთა მთელი ეკონომიური და ტექნიკური შესაძლებლობანი.

საჭიროა, რომ საწარმოებს, რომლებიც დიდ მუშაობას ახორციელებენ თანამედროვე ტექნიკის დანერგვისა და ახალი ნაწარმის ათვისებისათვის, გაეწიოთ მატერიალური და სხვა დახმარება. ჩვენმა კომიტეტებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საწარმოთა წინაშე წამოჭრილი ტექნიკური საკითხების გადაჭრაში.

არ უნდა გამორიცხულ უვარგისი პრაქტიკა, როცა ცალკეული სახალხო მეურნეობის საბჭოები უწესებდნენ საწარმოებს პირველი კვარტალის შემცირებულ გეგმას უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით. დავალებათა უმეტესი ნაწილის შესრულება გადაჰქონდათ მეოთხე კვარტალში. ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება სოციალისტური მეურნეობის მოთხოვნებს.

ჩვენი მრეწველობა ახალ, 1965 წელს ეგებება ნელ-ღონეულითა და მასალებით უფრო უზრუნველყოფილი. ვიდრე განვლილ წლებში. გვაქვს საჭირო მატერიალური პირობები იმისათვის, რომ როცა პირველ კვარტალს დავიწყებთ, მრეწველობა მუშაობდეს დავალებათა იმ დონეზე, რაც გათვალისწინებულია 1965 წლის გეგმით.

ამასთან მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წლის დამდეგიდანვე განხორციელდეს ის ახალი მოთხოვნილებანი, რასაც უყენებენ ამჟამად პარტია და მთავრობა „პროდუქციის ხარისხს, ასორტიმენტის განახლებასა და ახალი ტექნიკის დანერგვას, წარმოების თვითღირებულების შემცირებასა და რენტაბელობის გაზრდას.

1965 წლის გეგმის შესრულების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალური და ყირათიანი გამოყენება. სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე საჭიროა გამოვავლინოთ რეზერვები და განვახორციელოთ მომჭირნეობა და ეს უნდა მიგვაჩნდეს უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად.

ვფასებთ რა სახალხო მეურნეობაში არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს, მიგვაჩნია, რომ თვითღირებულების შემცირების გეგმა გადაჭარბებით შესრულდება. ეს შეიძლება იყოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების დამატებითი საშუალებების სეროზული წყარო.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მომავალი წლის პირველი კვარტალი იყოს მაღალი რენტაბელობის კვარტალი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ზოგიერთმა დეპუტატმა სამართლიანად აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალური წახალისების დამატებითი ღონისძიებების შემუშავებას წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მთავრობა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს დაავალებს გადაწყვეტონ ეს საკითხები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობამ უკანასკნელ ხანს მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რითაც გაფართოვდა სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა უფლებანი და შესაძლებლობანი მუშაობა მატერიალურ წახალისებაში. მაგრამ ხშირად ეს უფლებანი და შესაძლებლობანი ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული.

1965 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა წარმატებებს მოვიპოვებთ სოფლის მეურნეობის განვითარებაში. საჭიროა, რომ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, მექანიზატორები, აგრონომები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა მუშაკი კარგად მოემზადონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებისათვის და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ ახალი წლის უხვი მოსავლის მიღებას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის კარგად გამოზამთრებას. ზამთრის პერიოდში უნდა მივაღწიოთ სულადობის დიდ მატებას. ეს ამოცანა შეიძლება გადაიჭრას, რადგან ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეტი საკვები აქვთ, ვიდრე შარშან.

საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა დროულად და მაღალხარისხოვნად უნდა შეაკეთონ ტრაქტორები და სხვა მანქანები. ამ საქმისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ „სოფლტექნიკისა“ და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ორგანოებს.

სახალხო მეურნეობის საბჭოებმა საჭიროა უზრუნველყონ ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების საკმარისი წარმოება და ტექნიკის შესაკეთებლად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სათადარიგო ნაწილების დროულად მიწოდება.

მომავალი წლისათვის გათვალისწინებულია მეტი რდენობით მივაწოდოთ სოფლის მეურნეობას მინერალური სასუქები. რკინიგზის სადგურებიდან სასუქების დროულად გაზიდვა, შენახვა და სწორად გამოყენება-კარგი მოსავლის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

1965 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმის განხორციელება მთავარი საკითხი, ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის ძალღონე არ უნდა დაიშურონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა.

ჩვენი საბჭოები დიდი ძალაა. მათს შემადგენლობაში არჩეულია ორ მილიონზე მეტი დეპუტატი. გარდა ამისა, საბჭოების მუშაობაში მონაწილეობს მრავალმილიონიანი აქტივი.

ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა გამოიჩინონ ფართო ინიციატივა სამეურნეო ამოცანების გადაჭრაში.

სახელმწიფო ორგანოებმა, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ყურად უნდა იღონ საბჭოების დეპუტატთა წინადადებანი და განახორციელონ ღონისძიებანი მათ მიერ დაყენებული საკითხების გადაწყვეტისათვის. რა თქმა უნდა, საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ თვითეული წინადადება, რათა გადაწყდეს, როდის და რა უნდა გაკეთდეს/ მათ განსახორციელებლად. სახელმწიფო ორგანოების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები ვალდებული არიან აცნობებდნენ დეპუტატებს, თუ რა ღონისძიებები განახორციელეს.

ამხანაგო დეპუტატებო!

უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობამ აგრეთვე ფართო გამოხმაურება და კომენტარები გამოიწვია საზღვარგარეთის ქვეყნებში. უცხოეთის პრესა, ბევრი ბურჟუაზიული გაზეთიც კი, აღნიშნავს ჩვენი გეგმების მშვიდობიან მიმართულობას, წერს, რომ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრშია, ხაზს უსვამს იმ გადაწყვეტილებას, რომ საბჭოთა კავშირი კვლავ ამცირებს თავდაცვის ხარჯებს.

საბჭოთა მთავრობის ეს გადაწყვეტილება მოწმობს იმას, რომ მისი განცხადებანი მშვიდობის შესახებ და მისწრაფება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისადმი ლიტონი სიტყვები როდია, რომ ისინი ხორცს ისხამენ კონკრეტული საქმეებით.

ბურჟუაზიულ პრესაში გვხვდება სხვაგვარი კომენტარებიც, რომლებშიც ცდილობენ საბჭოთა მთავრობის ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ახსნან რადაც გახსაკუთრებული ეკონომიური მიზეზებით. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომაა, უფრო სწორად — ნამდვილი ფაქტების განზრახ დამახინჯებაა.

ჩვენს ეკონომიკას კარგი და მყარი საფუძველი აქვს. საბჭოთა ხალხს ესმის, რომ თანამედროვე პირობებში, როცა ჯერ კიდევ არ შექმნილა საერთაშორისო უშიშროების საიმედო სისტემა და გადაჭრილი არ არის განიარაღების პრობლემა, საჭიროა მუდმივად გზრუნავდეთ სოციალისტური საშშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა მრეწველობას, ჩვენს მოწინავე მეცნიერებას შეუძლია სახელოვან შეიარაღებულ ძალებს მისცეს ყოველივე, ის, რაც საჭიროა სამშობლოს დასაცავად. საბჭოთა ადამიანები ამაყობენ ჩვენი შეიარაღებული ძალების შესანიშნავი კადრებით, რიგითი ჯარისკაცებითა და ოფიცრებით, ნიჭიერი მხედართმთავრებით, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ მხედრულ ხელოვნებასა და თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა კარგად იციან, რომ საბჭოთა არმია მათი მშვიდობიანი შრომის ერთგული დამცველია. **(ხანგრძლივი ტაში).**

შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის სიმტკიცე და თანმიმდევრობა ლენინური საგარეოპოლიტიკური კურსის განხორციელებაში კეთილნაყოფიერ გამოხმაურებას პოულობს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში. ჩვენს მეგობრებსა და მოკავშირეებს საბჭოთა კავშირი მიაჩნიათ ძლავრ, მშვიდობისა და პროგრესის ყველა მტრისათვის გადაულახავ ზღუდედ.

ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი. ეს კვლავ დაადასტურა ახლანდელი სესიის მუშაობამ და უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა გამოსვლებმა.

საბჭოთა მთავრობა დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ თქვენ იწონებთ მის საგარეოპოლიტიკურ მოღვაწეობას, და პირობას აძლევს უმაღლეს საბჭოს, რომ კვლავაც განუხრელად განახორციელებს ჩვენი პარტიის საგარეო პოლიტიკის კურსს. **(ტაში).** ეს კურსი შეესაბამება საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის განხილვა სესიაზე მიმდინარეობდა საქმიან ვითარებაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების ყურადღებით და კრიტიკული განხილვის ვითარებაში. დეპუტატთა გამოსვლებში გამოვლინდა, რომ ისინი დიდად არიან დაინტერესებულნი კომუნისტური მშენებლობის იმ დიადი გეგმების განხორციელების საუკეთესო გზების არჩევით, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით არის დასახული.

ის უდიდესი ყურადღება, რითაც ყველა საბჭოთა ადამიანი ეკიდება სესიის მუშაობას, და გეგმისა და ბიუჯეტის განხილვა მთელი მსვლელობა დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ამ პროექტებში გათვალისწინებული დავალებანი შეესაბამება მთელი საბჭოთა ხალხის მისწრაფებებს.

დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია და ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა ახალ შრომითს გმირობას, შემოქმედებითს ინიციატივას, სიბეჯითეს გამოიჩენენ და ძალღონეს, ცოდნას არ დაიშურებენ იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც დასახულია 1965 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით.

ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას მტკიცედ მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის სიტყვა

(თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია შეიკრება იმისათვის, რომ განიხილოს და დამტკიცოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის — შვიდწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ა. ნ. კოსიგინის და ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენებებში შეჯამებულია 1964 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგები, აგრეთვე გაშუქებულია 1965 წლის გეგმისა და ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები და მათი შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

1964 წლის წინასწარი შედეგები ცხადყოფენ, რომ ჩვენი ხალხი, ისევე როგორც წინა წლებში. დიდი აღმავლობით შრომობდა და, შეასრულა ძირითადი დავალებანი, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის მეურნეობისა და კულტურის ყოველმხრივ და სწრაფ აღმავლობას, სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას. სამრეწველო წარმოების წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდება, და ჩვენი ქვეყანა დამატებით მიიღებს ასეულ მილიონობით მანეთის სხვადასხვა პროდუქციას. სამრეწველო წარმოების ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლის მეურნეობის ბევრი სახეობის კულტურათა პროდუქციაც. ახალ მწვერვალებს მიაღწია საბჭოთა მეცნიერებამ, რომელმაც მთელი ეპოქა დაიწყო მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

კომუნისტური მშენებლობის წარმატებებმა, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, კიდევ უფრო აამაღლა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელნი ამაყობენ იმით, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ძმური თანამეგობრობით თავიანთი შემოქმედებითი შრომით შეძლებისდაგვარი წვლილი შეაქვთ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განვითარებასა და განმტკიცებაში.

საგრთო პროდუქციის გამოშვების გეგმა საქართველოს მრეწველობამ 1964 წლის 11 თვეში 2,4 პროცენტის გადამეტებით შეასრულა. გადამეტებით სრულდება თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, მანქანათმშენებლობის პროდუქციის, ცემენტის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და სახალხო მოხმარების მთელი რიგი სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების დავალებანი. მანქანათმშენებლო და ელექტროტექნიკურმა მრეწველობამ მიმდინარე წელს ათივეს და უშვებს ახალ სახეობათა მანქანებს და მოწყობილობას. ახალი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 181 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რითაც გადაეჭრიბეს შვიდწლედის დამამთავრებელი წლის საკონტროლო ციფრების დონეს. წარმატებით შესრულებულია ხილის, კარტოფილის შესყიდვის გეგმები. შარშანდელზე გაცილებით მეტი დამზადდა ეუორძენი, თამბაქო, ბოსტნეული და ეთერზეთოვანი კულტურები.

თუმცა ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს ვერ ასრულებენ დაწესებულ მათი შესრულების მოსალოდნელი დონე 95 პროცენტს ვერ გადააჭარბებს, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ისევე როგორც 1963 წელს, მათ ბევრი რამ გააკეთეს ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების უზრუნველსაყოფად. 1964 წელს უკვე ამუშავდა ორი ელექტროლუმელი და წლის ბოლომდე მწყობრში ჩადგება კიდევ ორი დახურული ელექტროლუმელი ზესტაფონის ფერომენადანმთა ქარხანაში. დეკემბერში ამუშავდა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მეორე აგრეგატი, რითაც ამ სადგურის სიმძლავრემ 300 ათას კილოვატს მიაღწია. მთავრდება მშენებლობა და მალე ჩადგება მწყობრში რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის პირველი რიგი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის სამხრეთის გაზსადენმშენის ტრესტის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა მეტად მძიმე პირობებში დიდი სამუშაო შეასრულეს ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის გასაყვანად და მისი გამტარუნარიანობის გასაოდენ-ლად მიმდინარე წელს, რამაც უზრუნველყო რესპუბლიკის შეუფერებელი მომარაგება გაზის სათბობით.

არცთუ ცუდად მიმდინარეობს საბინაო და სასკოლო მშენებლობის სამუშაოები. საბინაო მშენებლობის გეგმა მიმდინარე წელს შესრულდება. მარტო სახელმწიფო და კოოპერაციული სახსრების გამოყენებით მიიღეს მოსახლეობა 400 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს.

რესპუბლიკის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდა გასავალზე შემოსავლის გადამეტებით. ამან საშუალება მოგვცა გამოგვყენებინა სახსრები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დამატებითი დაფინანსებისათვის, სოფლის მეურნეობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. წინასწარი მონაცემებით, რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი 1964 წელსაც შესრულდება. ბიუჯეტის შესრულება იმის შედეგია, რომ გაუმჯობესდა რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების, სახალხო მეურნეობის საბჭოსა და სხვა უწყებების ბევრი საწარმოს ეკონომიური მუშაობა, რომლებიც მთლიანად და გადამეტებით ასრულებენ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის და დაგროვების საგეგმო დავალებებს. შემცირდა ზარალიან საწარმოთა რიცხვი, მნიშვნელოვნად შემცირდა ზარალის დასაფარავი დოტაციის თანხა.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულებას ხელი შეუწყო იმ დიდმა მუშაობამ, რომელიც რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა შეასრულეს ახალი პროგრესული მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მასალების, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების შექმნისა და დანერგვისათვის, რამაც საშუალება მოგვცა მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეების გადიდებასთან და მათი ტექნიკური დონის ამაღლებასთან ერთად გაგვეუმჯობესებინა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში შრომის პირობები და მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წარმატებები, რაც ჩვენმა მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებთან თანამშრომლობით მოიპოვეს მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მაღალი წარმადობის მანქანის შექმნასა და რესპუბლიკის ჩაის მეურნეობაში მისი დანერგვის საქმეში. ეს მანქანა მიმდინარე წლის სეზონიდან ფართოდ ინერგება ჩაის პლანტაციებში, ერთი ასეთი მანქანა, რომელიც უზრუნველყოფს ჩაის ფოთლის ხარისხობრივ კრეფას, შეიძლება მოიმსახუროს 10 ჰექტარზე მეტ პლანტაციას, ამასთან სეზონში გათავისუფლოს 4 ათასი კაც-დღე. მანქანით ჩაის ფოთლის კრეფის თვითღირებულება 4-5-ჯერ ნაკლებია ხელით კრეფასთან შედარებით. 1965 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჩაის პლანტაციებში იმოშავებს რამდენიმე ასეული ასეთი მანქანა.

მწყობრში ჩადგა საცდელ-სამრეწველო დანადგარი, რომლის საშუალებით ტიბლელის ლიპატიოლითის ქვანახშირიდან იღებენ ფენოლის წნეხფხვნილს ჩვენი ქიმიოსების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით. ამ დანადგართან პირველად საბჭოთა კავშირში ბუნებრივი პოლიმერებიდან მიღებულია წნეხმასალების სამრეწველო პარტია, რაც საშუალებას გვაძლევს მეტი წილი შავი პლასტმასების წარმოებისას დავზოგოთ 50 პროცენტი დეფიციტური ფენოლის ფისები. ამ წნეხ-ფხვნილების ღირებულება 35-40 პროცენტით ნაკლებია ფენოლიანზე. ბუნებრივი პოლიმერების გამოყენების შედეგად წლიური დანაზოგი მარტო საცდელ-სამრეწველო დანადგარზე შეადგენს 120 ათას მანეთს.

ქართველმა მეცნიერებმა ფუნდამენტური მეცნიერული კვლევა განახორციელეს ოზოკოპების ფიზიკურ-ქიმიური ნარევთა შესასწავლად და შეიმუშავეს მათი გაყოფის ტექნოლოგია. ამ კვლევის საფუძველზე თბილისში შექმნილია სტანდალური ოზოკოპების საცდელი წარმოება, რომელიც წარმოადგენს ტექნოლოგიური პროცესების სრული ავტომატიზაციის დასრულებულ კომპლექსს. ამ მუშაობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ატომური ენერგეტიკის, რადიოელექტრონიკის განვითარებისათვის, იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს ატომური ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნით სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში.

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში მიღწეულ დადებით შედეგებთან ერთად, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. ჩამორჩენა მთელ რიგ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავება, ხოლო ზოგიერთი ამუშავებულ ახალ წარმოებათა ათვისება ნელა მიმდინარეობს. ზოგიერთი ნაკეთობის, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი, ვერ აკმაყოფილებს მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნებს.

როგორც რესპუბლიკის მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის შესაძლებლობანი, აგრეთვე დაგროვებისა და ბიუჯეტის გადასახდელთა ზრდის შესაძლებლობანი მთლიანად არ არის გამოყენებული. სახალხო მეურნეობის საბჭოში, ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში არის საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ საწარმოო [illegible] ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმებს, ნომენკლატურის, პროდუქციის თვითღირებულების დავალებებსა და შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალებებს.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობები. ბევრი საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ მუშაობს არარენტაბელურად, მნიშვნელოვანი ზარალი აქვს. მეცხოველეობა ჯერჯერობით სოფლის მეურნეობის ისევ ყველაზე ჩამორჩენილი დარგია.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, საწარმოთა ხელმძღვანელების ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი, უფრო სრულად გამოიყენონ არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი წარმოების ყველა დარგში.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია განსახილველად, წარმოების საშუალებათა წარმოების შემდგომ ზრდასთან ერთად ითვალისწინებს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებებს. დასახულია ეროვნული შემოსავლის ზრდის უფრო სწრაფი ტემპები, შემოსავლისა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, გაფართოვდება სახოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გაიზრდება მოსახლეობის რეალური შემოსავალი. დიდი ადგილი აქვს დათმობილი მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ვაჭრობის გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალ ტემპს, მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას. საქართველოს სსრ რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა მომავალი წლისათვის განსაზღვრულია 12 პროცენტით. ამასთან უპირატესად განვითარდება ქიმიური, მანქანათმშენებლო და მრეწველობის სხვა პროგრესული დარგები. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია თითქმის 50 პროცენტით გადიდდება, მანქანათმშენებლო და ელექტროტექნიკური მრეწველობისა — 15,4 პროცენტით, 40 პროცენტით გადიდდება მანგანუმის შენადნობთა წარმოება და 21 პროცენტით — ელექტროენერგიის გამომუშავება. კვების მრეწველობის პროდუქციის გამოშვება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების დასახული მოცულობის მიხედვით, დაგეგმილია გავადიდოთ 14,2 პროცენტით 1964 წელთან შედარებით.

გეგმის პროექტი ითვალისწინებს კაპიტალდაბანდებათა მნიშვნელოვან გადიდებას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. კაპიტალდაბანდებანი მეურნეობის ამ დარგში 46 პროცენტით გადიდდება. 1965 წელს დაიწყება ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც ითვალისწინებს ალაზნისა და ოიხის შუამდინარეთში განლაგებული 108 ჰექტარი უაღრესად ნაყოფიერი მიწის მორწყვას. ამის შედეგად მარცვლეულ კულტურებთან ერთად მნიშვნელოვნად [illegible] ბების ფართობები, რომლებიც მთელი სარწყავი მიწების დაახლოებით 60 პროცენტს დაიკავებენ.

გათვალისწინებულია საბინაო მშენებლობის, საავადმყოფოების, სკოლების, საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის შემდგომი ზრდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრები ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების პროცესში უნდა გამოვნახოთ დამატებითი ფინანსური და მატერიალური რესურსები საბინაო მშენებლობის გაფართოებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობისათვის.

მდინარე ენგურზე შენდება საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე იქნება 1600 ათასი კილოვატი და რომელიც წელიწადში გამოიმუშავებს 5600 მილიონ კილოვატსაათი ელექტროენერგიას. მზედღვალობაში ვიღებთ რა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ელექტროენერგიის დაძაბულ ბალანსს, აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლოატაციიდან დროულად გადაცემას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დღევანდელი ტემპი შეშფოთებას იწვევს, რადგან საეჭვოა დამთავრდეს ამ ოხერეტის მშენებლობა იმ ვადებში, რომლებიც მთავრობამ დასახა. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტმა რესპუბლიკის ორგანიზაციებთან ერთად უნდა შეიმუშაონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რომ დაიწყოს მშენებლობა ფართო ფრონტით და ალიბურეთის ეს მშენებლობა საჭირო მოწყობილობით, მექანიზმებით და გამოიყოს შესაბამისი კაპიტალდაბანდებანი.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი სსრ კავშირის 1965 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები შეიცავს უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, რომელთა გადაჭრა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის უყველა მუშაკისაგან, ჩვენი მეცნიერებისაგან მოითხოვს დიდ, გულმოდგინე მუშაობას, შემოქმედებითს ინიციატივასა და მთელი არსებული რეზერვების მობილიზაციას.

სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესასრულებლად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმუმი ოპერატიულობა. რომ დროულად გადაწყვიტონ გეგმების შესრულების პროცესში წამოჭრილი საკითხები.

გამოცდილება ადასტურებს, რომ სერიოზული ნაკლოვანებანი ცალკეულ საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობაში და სამრეწველო სიმძლავრეთა წარმოებისა და ამოქმედების დავალებათა შეუსრულებლობა აიხსნება იმით, რომ დამაკმაყოფილებლად ვერ ამარაგებენ მათ ნედლეულით, მასალებით, მოწყობილობით, დასაკომპლექტებელი ნაწარმით, მექანიზმებით, აპიანურებენ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გაცემას და დროულად არ წყვეტენ წამოჭრილ სამეურნეო და საფინანსო საკითხებს. საქმის ასეთი ვითარების ერთ-ერთი მიზეზი [illegible] ცია და მრავალსაფეხურიანობა სატიტულო და შიდასამშენებლო სიების განხილვასა და დამტკიცებაში, რის გამო ინჟინერ-ტ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

დეპუტატ მ. ვ. ჯაფარიძის სიტყვა

(ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი, აჭარის ასსრ)

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენს პარტიას აქვს შესანიშნავი დევიზი — ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის. გვჯერა, რომ მომდინარე წლის დამლევი გახდება დასაწყისი საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპისა. ეს ახალი ეტაპი უკვე იწყება სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი წლის სახელმწიფო გეგმის განხილვით.

განვლილი წელი ნაყოფიერი იყო საქართველოს რესპუბლიკისათვისაც სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების სახელმწიფო გეგმის მოსრულების თვალსაზრისით. საკმარისია იფიქროს, რომ საქართველოში შენდება ისეთი გიგანტები, როგორიც არის ენგურის ჰიდროელექტროსადგური, ამუშავდა მანგანუმის გადამუშავების ახალი სიმძლავრეები. 1965 წელს გათვალისწინებულია კაპიტალური შენებლობის ხარჯების ზრდა 23 პროცენტით და მეტით. იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. 1965 წელს ჩვენი ქვეყნის მშრომელები მიიღებენ შესანიშნავ საჩუქრებს: გაიხსნება ბიჭვინთის კურორტპანსიონატის პირველი რიგი, რომელიც ვაფთვალისწინებულია 1.500 დამსვენებლისათვის. დაიწყება რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს შენებლობა. ეს იქნება საუნივერსიტეტო კლინიკის უკანასკნელი მიღწევათა საფუძველზე აღჭურვილი 14-სართულიანი შენობა, რომელიც გათვალისწინებულია 1.100 საწოლისათვის. საქართველოს მოსახლეობა მიიღებს ონკოლოგიისა და რადიორენტგენოლოგიის ახალ ინსტიტუტს. იწყება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის მშენებლობა. შენდება აგრეთვე ახალი სკოლები, სადაც ისწავლის 18 ათასი მოსწავლე, შენდება საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი.

ნება მიბოძეთ დეპუტატთა ყურადღება მივაქციო იმას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში წარმოებული სასკოლო და სკოლამდელი მშენებლობის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდაც მიუხედავად, ბევრი ჩვენი სკოლა ჯერჯერობით უვარგისს, ზოგჯერ კი ავარიულ შენობებშია მოთავსებული. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სკოლების რიცხვი თითქმის არ მცირდება. კიდევ უარეს მდგომარეობაშია სკოლამდელი დაწესებულებების საქმე. სულ ვთხოვ გადაიდოს ასიგნებანი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის საქართველოში.

ყველასათვის ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში კარგ, კეთილმოწყობილ ბინას. რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება საბინაო საკითხის გადასაწყვეტად. ბევრმა მუშამ და მოსამსახურემ უკვე მიიღო ახალი ბინები. და მაინც ბევრი მშრომელი ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ბინით.

დაბეჯითებით ვთხოვ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას ყურადღება მიაქციოს ამ დიდწინშვნელოვან საკითხს და გადაიღოს ასიგნებანი საბინაო მშენებლობისათვის ჩვენს რესპუბლიკაში.

გარკვეული პერსპექტივები ისახება მომავალ წელს კულტურის დარგში. მთავრდება თბილისის რადიოსა და ტელევიზიის შესანიშნავად აღჭურვილი სახლის მშენებლობა, ინსტიტუტის მშენებლობა. შენდება აგრეთვე ახალი სკოლები, სადაც ისწავლის 18 ათასი მოსწავლე, შენდება საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი.

ნება მიბოძეთ დეპუტატთა ყურადღება მივაქციო იმას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში წარმოებული სასკოლო და სკოლამდელი მშენებლობის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდაც მიუხედავად, ბევრი ჩვენი სკოლა ჯერჯერობით უვარგისს, ზოგჯერ კი ავარიულ შენობებშია მოთავსებული. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სკოლების რიცხვი თითქმის არ მცირდება. კიდევ უარეს მდგომარეობაშია სკოლამდელი დაწესებულებების საქმე. სულ ვთხოვ გადაიღოს ასიგნებანი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისათვის საქართველოში.

ბელგოროდის ოლქის კოლმეურნეობა „სწორი გზის" თავჯდომარემ; დეპუტატმა **მ. ა. დერკაჩმა** ილაპარაკა თავისი ოლქის მხვნელ-მთესველთა წარმატებებზე. ვფიქრობ, განაცხადა ამხ. დერკაჩმა, ჩვენი წარმატებანი უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, მთელი რიგი სეროიზული შეცდომები რომ არ გვქონოდა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, რომ არ ყოფილიყო უამრავი რეორგანიზაცია და გარდაქმნა, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს საქმეს. ჩვენ მხურვალე მადლობას ვუხდით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს იმისათვის, რომ მან ენერგიული ღონისძიებანი განახორციელა დამეუტული შეცდომების გამოსასწორებლად.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, განაცხადა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, დეპუტატმა **ა. ი. პელშემ**. მან თქვა, რომ ლატვიის რესპუბლიკის მეცადინეობა ეადამდე — 22 ნოემბრისათვის შეასრულეს თევზჭერისა და თევზის პროდუქციის გამომუშავების წლიური გეგმა.

ჩვენ კარგად ვგესმის, განაგრძო ი. პელშემ, რომ გარკვეული დადებითი შედეგები, რომლებსაც წელს მიაღწია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ, მხოლოდ პირველი ნაბიჯია ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანათა გადაწყვეტის გზაზე. არსებული რეზერვების უფრო სრულად გამოყენება საშუალებას მოგვცემს მომავალ 1965 წელს მნიშვნელოვნად მეტი რძე, ხორცი, კვერცხი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები მივცეთ საშობოლოს.

რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის უდიდეს ნაწილზე მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა. მაგრამ ზოგიერთი ნაწარმი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. ამიტომ ხორციელდება ღონისძიებანი, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში ლატვიის წამყვანმა საწარმოებმა მსოფლიო ტექნიკურ დონეს მიაღწიონ პროდუქციის ხარისხითა და გარეგნული გაფორმებით.

დეპუტატმა ა. ი. პელშემ გარკვეული პრეტენზიები წაუყენა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და აღნიშნა ნაკლოვანებანი დაგეგმვაში. რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში ამუშავებული სიმძლავრენი მთლიანად არ არის გამოყენებული.

კავშირის საბჭოს საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **ლ. ი. ლუბენკოვი** (ყემეროვოს ოლქი), **ი. ი. ბოდიული** (მოლდავეთის სსრ), **ი. გ. კოვალი** (ტაჯიკეთის სსრ).

11 დეკემბერს კრემლში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის შეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

დილის 10 საათზე პალატებისა ცალ-ცალკე სხდომებზე კვლავ დაიწყო განხილვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის დეპუტატ ა. ნ. კოსიგინის მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენებისა სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კავშირის საბჭოს სხდომაზე პირველი გამოვიდა ესტონეთის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავჯდომარე, დეპუტატი **ა. ტ. ვეიმერი**. მან აღნიშნა, რომ ესტონეთის მრეწველობა წარმატებით ასრულებს შეიდწლედის დავალებებს. 1958 წელთან შედარებით საერთო პროდუქციის წარმოება 1965 წელს გაიზრდება 91,7 პროცენტით, მაშინ როცა საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული იყო 80,6 პროცენტი.

მძიმე მრეწველობასთან ერთად ამ წლებში წარმატებით ვითარდებოდა მსუბუქი და კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა.

შეეხო რა ესტონეთის მრეწველობის შემდგომ განვითარებას, ორატორმა აღნიშნა, რომ ძირითადი საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში ჯერ კიდევ ბევრია კუსტარულობა. დარგობრივი კომიტეტები და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭო საკმაოდ არ გეგხმარებიან ამ დიდმნშვნელოვანი ამოცანის გადაჭრაში. დამაკმაყოფილებლად არ ხორციელდება ავრეთვე მეცნიერული და ორგანიზაციული მუშაობა ახალი ტექნოლოგიის დანერგვისათვის.

ბელორუსიის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავჯდომარემ, კავშირის საბჭოს სამეუჯეტო კომისიის წევრმა დეპუტატმა **ი. ნ. მაკაროვმა** აღნიშნა, რომ პროფკავშირები აქტიურად მონაწილეობდნენ 1965 წლის გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავებაში. დასახული საწარმოო დავალებანი დაძაბულ მუშაობას მოითხოვენ. პროფკავშირთა ამოცანაა მშრომელთა შემოქმედებითი ძალების მობილიზაცია ამ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

დეპუტატმა **კ. ნ. ბელიაკმა** (ვორონეჟის ოლქი) თავისი სიტყვა მიუძღვნა სამეურნეო ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის გაუმჯობესების პრობლემებს. მან აღნიშნა, რომ ცენტრალურ — შვენიდგიან ეკონომიურ რაიონში საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ დროზე აამუშაონ და მოკლე დროში აითვისონ ახალი სიმძლავრეები. მომავალ წელს ჩვენი ქვეყანა მიიღებს ასეულ ათასობით ტონა მინერალური სასუქებს, ზემტკიცე კაპრონს ტექნიკური მიზნებისათვის, გაიზრდება პლასტიკური მასების წარმოებისათვის საჭირო ძვირფასი პროდუქტის სტიროლის და სხვა პროდუქციის წარმოება.

ბაჟირეთის ბუნებრივი სიმდიდრეთა რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორმა დეპუტატმა **მ. ა. ფერინმა**, ის, რომ რესპუბლიკაში არის თხევადი სათბობის დიდი მარაგი, საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო დიდი ტემპით განვავითაროთ ნავთობის მრეწველობა, თქვა მან. მაგრამ ამას აფერხებს გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების სიმცირე. საჭირო, ამბობს ორატორი, რომ გადაამუშავოს მშენებლობის გეგმა რესპუბლიკის ნავთობმოპოვებითი მრეწველობის დარგში.

შვიდწლედის ექვს წელიწადში, ამბობს სსრ კავშირის სახმრენის თავჯდომარის მოადგილე დეპუტატი **მ. ვ. პოსოხინი**, ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში აშენდა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 480 მილიონი კვადრატული მეტრია, რაც თითქმის ერთიანურად აღემატება მშენებლობის მოცულობას განვლილ ექვს წელიწადში. ომისშემდგომ წლებში ჩვენს ქვეყანაში აშენდა 460-ზე მეტი ახალი ქალაქი. მაგრამ მოთხოვნილება ბინებზე ჯერ კიდევ დიდია. 1964 წელს საბინაო მშენებლობის პროგრამა უსაფუძვლოდ შემცირდა. ახლა მიღებულია გადაწყვეტილება, რომ გამოსწორდეს ეს მდგომარეობა. საბინაო მშენებლობის მოცულობის გადიდებას დიდი კმაყოფილებით შეხვდება მთელი ჩვენი ხალხი.

ალტაი ჯერ კიდევ დიდ ვალშია სახელმწიფოს წინაშე, განაცხადა დეპუტატმა **ა. ვ. გეორგიევმა**, ამ მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეუძლიათ მოიწიოს და კიდევაც უნდა მოიწიონ მარცვლეული კულტურების, განსაკუთრებით საგაზაფხულო ხორბლის, უხვი და მყარი მოსავალი, გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ალტაის მხარეში არის მექანიზატორების, გამოცდილი ოსტატების 100 ათასეული არმია. ეს არის მთავარი ძალა სოფლად. მაგრამ ჯერ კიდევ გვაღელვებს მექანიზატორთა ადრბენი უზრუნველყოფის პრობლემა ამბობს ამხ. გეორგიევი. სამწუხარო არის, რომ გამოცდილი მექანიზატორები ხშირად იცვლიან თავიანთ პროფესიას, რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ უკანასკნელ წლებში ნაჩქარევმა, მოუფიქრებელმა გადაწყვეტილებებმა მექანიზატორთა შრომის ანაზღაურების შესახებ გამოიწვია ის, რომ ბევრი მექანიზატორი ახლა იღებდა უფრო ნაკლებ ხელფასს, ვიდრე იღებდა მექანიზატორთა სადგურში მუშაობის დროს.

საჭიროა გადაამუშავოს საკითხი კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების შესახებაც, ამბობს დეპუტატი. ალბათ, საჭირო იქნება კოლმეურნეობებშიც განისაზღვროს საგარანტიო მინიმუმი, რომელიც უნდა გაიცეს შრომადღეებზე ყოველგვარი სტიქიური უბედურების დროს. ამის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისათვის.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავჯდომარეს **ა. იშოვს**. მან თქვა, რომ ჩვენი ქვეყნის თევზის მრეწველობამ 10 დეკემბრისათვის შეასრულა თევზის, ვეშაპისა და ზღვის ნაღირის მოპოვების სახელმწიფო გეგმა, რაც მიმდინარე წელს შეადგენს 50 მილიონ ცენტნერზე მეტს. 1950 წელს თევზჭერის საერთო მოცულობა შეადგენდა 18 მილიონ ცენტნერს. თევზჭერის ასეთი ალმაცერი ზრდა, ამბობს ორატორი, ამ მრეწველობის ძირეული ტექნიკური ხელახლა აღჭურვის შედეგია.

გამოშვებული თევზის ხაქონლის 60 პროცენტზე მეტი უშუალოდ მუშავდება გემებზე. მაგრამ იქ ჯერ კიდევ სუსტად არის მექანიზებული წარმოების ცალკეული პროცესები. ბევრი მუშა კვლავ ხელის შრომას ეწევა. ამასთან დაკავშირებით ამხ. აკოკოვა სთხოვა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს განიხილონ თევზის მრეწველობის კომიტეტის შესაბამისი წინადადებანი, რასაც შეუძლია აღმოფხვრას ეს ნაკლოვანებანი.

კავშირის საბჭოს სხდომაზე აგრეთვე გამოვიდნენ **ე. ფ. შმადჩენკო** (ტამბოვის ოლქი), **ა. ვ. კარდაპოლცევი** (ჩელიაბინსკის ოლქი), **ხ.-ჯ. ტოკა** (ტუვის ასსრ), **ნ. მ. ხუდოხოცევი** (უკრაინის სსრ).

ამით მთავრდება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების განხილვა. გამოსული დეპუტატები, რომლებიც აყენებდნენ წინადადებებს, ამხილებდნენ ცალკეულ ნაკლოვანებებს მუშაობაში, ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ მომავალი წლის გეგმისა და ბიუჯეტის მიზანია სოციალისტური წარმოების შემდგომი ზრდა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ერევნელთა საბჭოს სხდომა გაიხსნა დეპუტატ **ა. უ. მოდოგოევის** (ბურიატეთის ასსრ) გამოსვლით. ბურიატეთი, რომელიც წარსულში მეფის რუსეთის ყველაზე მიყრუებული განაპირა მხარე იყო, ამბობს იგი, ახლა საბჭოთა ქვეყანაზე აწვდის არა მარტო სასარგებლო მადნეულს, არამედ მრეწველობის ნაწარმსაც.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში ბურიატეთი ვერ უზრუნველყოფდა საკუთარ მოთხოვნილებას პურსა და სხვა პროდუქტებზე, ახლა კი რესპუბლიკა არა მარტო აკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს, არამედ მარცვლეული გაიქვს კიდევაც თავის ფარგლებს გარეთ.

ამასთანავე სავსებით ვერ ვიყენებთ ბურიატეთის ასს რესპუბლიკის საწარმოო ძალებს. ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ შესწავლილი რესპუბლიკის წიაღი. მეტად ნელა წყდება ახალ სამრეწველო მშენებლობასთან და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

დეპუტატმა **მ.-ს. ა. უმახანოვმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო ინტენსიურად გამოვიყენოთ დაღესტნის ბუნებრივი სიმდიდრენი საბჭოთა კავშირის ინტერესებისათვის. დიდ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მეოხებით დაღესტანში აღმოჩენილია ნავთობისა და გაზის ექვსი დიდი საბადო, რამაც შესაძლებლობა მოგვცა მკვეთრად გაგვეზარდეთ ამათ მოპოვება. აღმოჩენილ საბადოთა ნავთობის ძაღლი ხარისხი მოწმობს, რომ რესპუბლიკაში უახლოეს წლებში შეიძლება შევქმნათ ნავთობმეფინერიული მრეწველობის დიდად რენტაბელური ნედლეულის ბაზა, ორატორმა სთხოვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს საჭირო დახმარება გაუწიოს რესპუბლიკას ამ საქმეში.

სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა დეპუტატმა **ვ. ა. ნიკონოვმა** დაიყენა რესპუბლიკის მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა ნავთობის მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. თათრეთის მრეწველობა შვიდწლედის წლების მანძილზე სწრაფი ტემპით ვითარდება.

მაგრამ, თათრეთში, თქვა ორატორმა, ჯერ კიდევ არის წარმოების ბევრი გამოუყენებელი რეზერვი, რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობა სწრაფი ტემპით ვითარდება. ამავე დროს ნავთობის მოპოვების ასეთი განვითარება დაკავშირებული არ არის უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების კომპლექსურ გამოყენებასთან.

ახლა ხორციელდება ღონისძიებანი, განაცხადა ამხ. ნიკონოვმა, რათა უკეთ გამოვიყენოთ თანამგზავრი გაზი. შენდება ყაზანის ორგანული სინთეზის ქარხანა და ნიჟნეკამსკის ქიმიური კომბინატი, რომლებიც ადგილობრივი ნედლეულით იმუშავებენ და გამოუშვებენ პოლეთილენს, კაუჩუკსა და სხვა ძვირფას პროდუქტებს.

1958 წლიდან საბჭოთა კავშირს ქვანახშირის მოპოვების მხრივ მეტიოდენ უყვია პირველი ადგილი ფრანგეთში, განაცხადა დეპუტატმა **ნ. ვ. მელნიკოვმა**— სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სათბობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავჯდომარემ. საბჭოთა შეუხტეები წარმატებით ასრულებენ ქვანახშირის ამოღების განვითარების დადგენილ გეგმებს. ახლა ჩვენს ქვეყანაში მუშაობს ათასზე მეტი ქვანახშირის შახტი და ჭრილი, რომელთა საერთო საწარმოო სიმძლავრე 550 მილიონი ტონა ქვანახშირია წელიწადში.

ამასთანავე, განაგრძო ამხ. მელნიკოვმა, თავიდან რომ ავიცილოთ სიძნელეები ქვანახშირის ამოღებაში და მისი შესაძლო ნაკლებობა 1966 წელს, საჭიროა უკვე მომავალ წელს განვახორციელოთ სპეციალური ღონისძიებანი — დამატებით გამოვუყოთ ქვანახშირის ჭრილებს დიდი ექსკავატორები და დავაჩქაროთ ქვანახშირის ჭრილებისა და შახტების მშენებლობა და ამოქმედება.

კონდომოიეს ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მეგადემ დეპუტატმა **ვ. ვ. ეგოროვმა** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ასრულებს კომბინატის კოლექტივი შეიდწლიან გეგმას.

სსრ კავშირის სახელმწიფო გეოლოგიური კომიტეტის თავჯდომარემ **ა. ვ. სიდორენკომ** განაცხადა, რომ მომდინარე წელს გეოლოგებმა მოახდინეს მთელი რიგი ახალი დიდი აღმოჩენები, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება მრეწველობის განვითარებისათვის შემდგომ ხუთწლედში.

საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარების შესახებ ბევრი საინტერესო მონაცემი მოიყვანა თავის გამოსვლაში სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრმა დეპუტატმა **ნ. დ. პასურცევმა**. მიმდინარე წელს ხახელმწიფო კაპიტალური დაბანდების მოცულობა კავშირგაბმულობის მეურნეობებში 1958 წელთან შედარებით ორნახევარჯერ და მეტად გაიზარდა. მარტო ხუთ წელიწადში საქალაქთაშორისო კაბელის ხაზების სიგრძე თითქმის ერთიორად გადიდდა, რადიორელეს ხაზებისა — ხუთჯერ. ამან შესაძლებლობა მოგვცა კავშირგაბმულობის არხების საერთო სიგრძე საქალაქთაშორისო ხაზებზე ერთიორად და მეტად გაგვიდიდებინა.

აშენდა მძლავრი კაბელისა და რადიორელეს მაგისტრალები, რომლებმაც მოსკოვი დააკავშირეს საბჭოთა კავშირისა და სახალხოდემოკრატიულ ქვეყნების უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ რაიონებთან. 1957 წლის დამდეგისათვის ჩვენს ქვეყანაში იყო 60 მოქმედი სატელევიზიო ცენტრი, მიმდინარე წლის დამდეგისათვის — უკვე მუშაობდა 150, ხოლო ხაკლებად მძლავრ რეტრანსლატორებთან ერთად 450-ზე მეტი.

დიდი ცვლილებანი მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე საფოსტო კავშირგაბმულობაში, აგრეთვე საკალაქო და სასოფლო სატელეფონო ქსელების განვითარებაში. მაგრამ ადგილობრივი სატელეფონო კავშირის განვითარების დონით ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით, თქვა ამხ. პასურცევმა. მას საჭიროდ მიაჩნია მნიშვნელოვნად გადიდდეს სატელეფონო კაბელის, განსაკუთრებით დიდი ტევადობის კაბელის წარმოება, გამოიყოს ლიმიტები საქალაქო სატელეფონო სადგურების დასრულებისათვის.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე **ე. გ. ხავინოვი** (იაკუტეთის ასსრ), **ბ. ბ. გოროდოვეკოვი** (ყალმუხეთის ასსრ), **მ. გ. ჩიკოვანი** (აფხაზეთის ასსრ), **ნ. კ. კირილოვი** (ჩუვაშეთის ასსრ), **კ. კ. ტურგუმბაევი** (ყირგიზეთის სსრ).

თავიანთ გამოსვლებში დეპუტატებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ განახორციელონ უკეთ ის დიდი ამოცანები, რომლებიც მომავალი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით არის დასაბუდი. მათ მიიწოდეს სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, ხაზი გაუსვეს, რომ უზრუნველყოფენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის კიდევ უფრო ომიანობას, მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ამით დამთავრდა 1965 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვა.

(საკდესი).

მშვიდობისა და შემოქმედების გზით



გზათა მინისტრმა დეპუტატმა **ბ. ა. ბეშჩევმა**, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ეროვნებათა საბჭოს 10 დეკემბრის საღამოს სხდომაზე, განაცხადა, რომ რკინიგზის ტრანსპორტმა უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით ვადამდე შეასრულა დავალებანი, რომლებიც ორ-სამ წელიწადზე ადრე ერეკებოდა. შრომის თანამედროვე დანაწილების დროს პროდუქციის ცუდი ხარისხი ტექნიკური პროგრესის მეტადაფუძნებული მუხრუჭია. უნდა ვიფიქროთ, რომ შეიქმნება პირობები, როცა საწარმოები მატერიალურად დაინტერესებული იქნებიან მაღალი ხარისხის პროდუქცია გამოუშვან. ორატორი შეეხო აგრეთვე მეცნიერული ლიტერატურის გამოცემის საკითხებს.

სხდომაზე გამოვიდა დეპუტატი **ი. ტ. სტარკინი**. მან ილაპარაკა თურქმენეთის რესპუბლიკის წარმატებებზე, რომელმაც ამას წინათ თავისი შექმნის 40 წლისთავი აღნიშნა. კარგად ორთმევს თავს საწარმოო დავალებებს მარის სადგურის კოლექტივიც, სადაც დეპუტატი თბილავლის მექანიკოსად მუშაობს.

ბელგოროდის ოლქის კოლმეურნეობა „სწორი გზის" თავჯდომარემ; დეპუტატმა **მ. ა. დერკაჩმა** ილაპარაკა თავისი ოლქის მხვნელ-მთესველთა წარმატებებზე. ვფიქრობ, განაცხადა ამხ. დერკაჩმა, ჩვენი წარმატებანი უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, მთელი რიგი სეროიზული შეცდომები რომ არ გვქონოდა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, რომ არ ყოფილიყო უამრავი რეორგანიზაცია და გარდაქმნა, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს საქმეს. ჩვენ მხურვალე მადლობას ვუხდით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს იმისათვის, რომ მან ენერგიული ღონისძიებანი განახორციელა. დამეუტული შეცდომების გამოსასწორებლად.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, განაცხადა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, დეპუტატმა **ა. ი. პელშემ**. მან თქვა, რომ ლატვიის რესპუბლიკის მეცადინეობა ეადამდე — 22 ნოემბრისათვის შეასრულეს თევზჭერისა და თევზის პროდუქციის გამომუშავების წლიური გეგმა.

ჩვენ კარგად ვგესმის, განაგრძო ი. პელშემ, რომ გარკვეული დადებითი შედეგები, რომლებსაც წელს მიაღწია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ, მხოლოდ პირველი ნაბიჯია ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანათა გადაწყვეტის გზაზე. არსებული რეზერვების უფრო სრულად გამოყენება საშუალებას მოგვცემს მომავალ 1965 წელს მნიშვნელოვნად მეტი რძე, ხორცი, კვერცხი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები მივცეთ საშობოლოს.

რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის უდიდეს ნაწილზე მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა. მაგრამ ზოგიერთი ნაწარმი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. ამიტომ ხორციელდება ღონისძიებანი, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში ლატვიის წამყვანმა საწარმოებმა მსოფლიო ტექნიკურ დონეს მიაღწიონ პროდუქციის ხარისხითა და გარეგნული გაფორმებით.

ბელორუსიის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავჯდომარემ, კავშირის საბჭოს სამეუჯეტო კომისიის წევრმა დეპუტატმა **ი. ნ. მაკაროვმა** აღნიშნა, რომ პროფკავშირები აქტიურად მონაწილეობდნენ 1965 წლის გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავებაში. დასახული საწარმოო დავალებანი დაძაბულ მუშაობას მოითხოვენ. პროფკავშირთა ამოცანაა მშრომელთა შემოქმედებითი ძალების მობილიზაცია ამ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

დეპუტატმა კ. ნ. ბელიაკმა (ვორონეჟის ოლქი) თავისი სიტყვა მიუძღვნა სამეურნეო ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის გაუმჯობესების პრობლემებს. მან აღნიშნა, რომ ცენტრალურ — შვენიდგიან ეკონომიურ რაიონში საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ დროზე აამუშაონ და მოკლე დროში აითვისონ ახალი სიმძლავრეები. მომავალ წელს ჩვენი ქვეყანა მიიღებს ასეულ ათასობით ტონა მინერალური სასუქებს, ზემტკიცე კაპრონს ტექნიკური მიზნებისათვის, გაიზრდება პლასტიკური მასების წარმოებისათვის საჭირო ძვირფასი პროდუქტის სტიროლის და სხვა პროდუქციის წარმოება.

ბაჟირეთის ბუნებრივი სიმდიდრეთა რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორმა დეპუტატმა **მ. ა. ფერინმა**, ის, რომ რესპუბლიკაში არის თხევადი სათბობის დიდი მარაგი, საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო დიდი ტემპით განვავითაროთ ნავთობის მრეწველობა, თქვა მან. მაგრამ ამას აფერხებს გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების სიმცირე. საჭიროა, ამბობს ორატორი, რომ გადაამუშავოს მშენებლობის გეგმა რესპუბლიკის ნავთობმოპოვებითი მრეწველობის დარგში.

ალტაის მხარეში არის მექანიზატორების, გამოცდილი ოსტატების 100 ათასეული არმია. ეს არის მთავარი ძალა სოფლად. მაგრამ ჯერ კიდევ გვაღელვებს მექანიზატორთა ადრბენი უზრუნველყოფის პრობლემა ამბობს ამხ. გეორგიევი. სამწუხარო არის, რომ გამოცდილი მექანიზატორები ხშირად იცვლიან თავიანთ პროფესიას, რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ უკანასკნელ წლებში ნაჩქარევმა, მოუფიქრებელმა გადაწყვეტილებებმა მექანიზატორთა შრომის ანაზღაურების შესახებ გამოიწვია ის, რომ ბევრი მექანიზატორი ახლა იღებდა უფრო ნაკლებ ხელფასს, ვიდრე იღებდა მექანიზატორთა სადგურში მუშაობის დროს.

ალტაიმ ჯერ კიდევ დიდ ვალშია სახელმწიფოს წინაშე, განაცხადა დეპუტატმა **ა. ვ. გეორგიევმა**, ამ მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეუძლიათ მოიწიოს და კიდევაც უნდა მოიწიონ მარცვლეული კულტურების, განსაკუთრებით საგაზაფხულო ხორბლის, უხვი და მყარი მოსავალი, გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ალტაის მხარეში არის მექანიზატორების, გამოცდილი ოსტატების 100 ათასეული არმია. ეს არის მთავარი ძალა სოფლად. მაგრამ ჯერ კიდევ გვაღელვებს მექანიზატორთა ადრბენი უზრუნველყოფის პრობლემა ამბობს ამხ. გეორგიევი. სამწუხარო არის, რომ გამოცდილი მექანიზატორები ხშირად იცვლიან თავიანთ პროფესიას, რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ უკანასკნელ წლებში ნაჩქარევმა, მოუფიქრებელმა გადაწყვეტილებებმა მექანიზატორთა შრომის ანაზღაურების შესახებ გამოიწვია ის, რომ ბევრი მექანიზატორი ახლა იღებდა უფრო ნაკლებ ხელფასს, ვიდრე იღებდა მექანიზატორთა სადგურში მუშაობის დროს.

ბაკინსკი საბჭოს **ეკონომიკური** ინსტიტუტის **ეკონომიკური** ანალიზის **ლაბორატორიის** **ინჟინერ-ეკონომისტ** **ალ. ალ. ბ.** **

„ეუნჯები“ უნდა აღაპარაკდნენ!

კინოკომედია „ნახვამდის“ გამო

თვეზე მეტია, რაც თბილისის ეკრანებზე წარმატებით უჩვენებენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სადებლაო განყოფილების მიერ ამ უკანასკნელ ხანებში ამეტყველებულ, ქართულ სრულმეტრაჟიან მუნჯ კინოსურათს „ნახვამდის“.

ოცდაათმა წელმა განვლო ამ ფილმის გამოსვლიდან. ვინ იცის რამდენჯერ მინახავს იგი! მინახავს პირველი გამოსვლის დღეებში, წარმატებით რომ მიდიოდა მთელ საბჭოთა კავშირში. მინახავს მის შემდეგაც. შუამ გვხიბლავდა მისი დრამატიული დახვეწილობა, ხასიათების სიცხოველე, მათი მრავალფეროვნება, სიტუაციების დაძაბულობა, მინაგანი დინამიკა, მგზნებარე ტემპერამენტი და მწყვეტ სატირული ხასიათი. უნებურად ვიგონებ სცენარის ავტორს ბაჭუა კუპრაშვილს, ცხონებულ რევოლუციონერსა და ნიჭიერ მწერალს. იგი ხომ დაულეველი წყარო იყო წარსული ცხოვრებიდან აღებული უნიკალური მასალებისა! „ნახვამდის“ ერთი პატარა, მაგრამ დიდი მნიშვნელობის ეპიზოდია მის მიერ გამოვლილი რევოლუციური ბრძოლებიდან. ამიტომ არის ფილმის თვითეული სცენა, თვითეული ეპიზოდი სიმართლით აღსავსე, დამაჯერებელი, ღრმა აზრის შემცველი.

ორიგინალურ დრამატურგიულ ფორმაში ჩამოსხმული, რეალური ყოფის გადმომცემი მონტაჟები: რევოლუციონერის გაქცევა, თავადი ძმების დავით და ჯიმშერ ირმელების ურთიერთდავა, თენგიზ ირმელის ქვეფი რესტორანში, სოფლელთა დაკითხვა, სასამართლოს პროცესები, დედისა და შვილის შეხვედრა და სხვ., თავისი ბუნებრივობითა და მხატვრულობით, შეტად ზომიერი, მაგრამ მძლავრი მამხილებელი კომიზმით დახატული სცენები და ეპიზოდები, ამეტყველების შემდეგ უფრო მეტი ძალითა და მღელვარებით აღიქმებიან დღეს, ვიდრე ამ ოცდაათი წლის წინათ.

„სურათი აღსავსე იყო ცხოვრების სიხარულის ისეთი გრძნობით, წარსულის ნაღვლიან ჩრდილებზე სინათლის გამარჯვების ისეთი რწმენით, ისეთი ოპტიმიზმით, რომ იგი ჟღერდა როგორც ჰიმნი ნათელ მომავლისაო“, წერდა ამ ფილმის შესახებ საბჭოთა კინოხელოვნების ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი პროფესორი ნ. ა. ლებედევი. ასეთსავე შეფასებას აძლევდა ამ ფილმს ცნობილი საბჭოთა კინორეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გრიგოლ როშალი. მახსოვს მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სასცენარო ფაკულტეტის სტუდენტებთან წაკითხული მისი აღფრთოვანებული ლექცია, რომელიც ორ ქართულ ფილმს „ეუნუნას მზითევს“ და „ნახვამდის“ მიეძღვნა. საბჭოთა კინემატოგრაფიის გამოჩენილმა ოსტატმა ეს ფილმები საბჭოთა კლასიკურ კინოკომედიებად ჩათვალა, ხოლო ს. ფალავანდიშვილსა და ბ. მაკაროვს მაღალი ნიჭის ახალგაზრდა რეჟისორები უწოდა.

გამოცდილი ხელოვანი არ შემცდარა. ფილმები „ეუნუნას მზითევი“ და „ნახვამდის“ დიდი ხანია, რაც საბჭოთა კინოკომედიების კლასიკურ ფონდში შევიდნენ. ეჭვი არ არის, მათი დამდგმელი რეჟისორებიც არაერთ მაღალმხატვრულ ფილმს მიუძღვნიდნენ შობლიურ კინოსელოვნებას, რომ ისე უდროოდ არ წასულიყვნენ ჩვენგან.

„ეუნუნას მზითევზე“ ალბათ ჩვენ უახლოეს ხანში მოგვიხდება სპეციალური წერილის დაწერა. დავუბრუნდეთ ფილმს „ნახვამდის“.

კარგად გააზრებულ ლიტერატურულ საფუძველთან და უკვე საკმაოდ მომწიფებულ რეჟისორულ ოსტატობასთან ერთად ფილმის ესოდენი წარმატებები მაღალი მხატვრული გემოვნებით შერჩეულმა, ნიჭიერ მსახიობთა ანსამბლის აქტიორულმა შემოქმედებამაც განაპირობა. მ. გელოვანი — სპირიდონ ლომიძე, კ. მაჭარაძე — დავით ირმელი, ლ. ხოტივარი — თენგიზი, ცაცა ამირეჯიბი — დავითის ცოლი, პ. ჭყონია — ჯიმშერი, ნუცა ჩხეიძე — დედა, ა. ჟორჟოლიანი — მამასახლისი, ცეცილია ეუნუნავა — მამასახლისის ცოლი. არა თუ ეს, მთავარი როლების განმასახიერებელი მსახიობები, არამედ ეპიზოდური როლების შემსრულებლებიც კი: ა. ხინოიბაძე — ლოთი, კ. კობიეკი — თენგიზის მეგობარი, კ. დაუშვილი და ა. კვალიშვილი — რევოლუციონერები და სხვა მსახიობები ნათელი, სოციალური ფერებით დახატულ სახეთა მთელ გალერიას ქმნიდნენ.

ამ მსახიობთაგან დღეს ბევრი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ეკრანს შერჩენილი მათი შემოქმედება, მათი სახე ახლაც მთელი ძალით მოქმედებს მაყურებელზე და ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ფილმის დადგმა ოცდაათი წლის წინათ კი არა, გუშინწინ დამთავრდა და ჩვენი საყვარელი მსახიობები, რომლებიც თავიანთი თამაშით ასეთ სიამოვნებას გვანიჭებენ, დღესაც ჩვენთან არიან და სურათის „საზოგადოებრივი წარმატებით ჩვენთან ერთად ტაბებენან. ასეთია მეტყველი ფილმის ძალა.

მეტად რთული იყო ისტორიულ-რევოლუციური ფილმის სატირულ ჟანრში გადაწყვეტა. ქართულ კინემატოგრაფიას ამის ტრადიცია არა ჰქონდა. მით უფრო დიდ სიძნელეს წარმოადგენდა იგი ისეთი ახალგაზრდა რეჟისორისათვის, როგორიც გ. მაკაროვი იყო. როგორც მას, ისე ჯგუფის თვითეულ წევრს ნიჭისა და ცოდნის გარდა, დაწყებული საქმისადმი გულწრფელი სიყვარული და დიდი რწმენა მოეთხოვებოდა.

მართლაც, იმ ხანებში ყველა სხვა დამდგმელი ჯგუფისათვის მისაბაძი და სამაგალითო იყო ის ერთსულოვანი შემოქმედებითი მღელვარება, წვა და მისწრაფება, რომელიც ამ ფილმის დამდგმელი კოლექტივის თვითეულ წევრს და განსაკუთრებით მსახიობთა შემადგენლობას ახასიათებდა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ სცენა რესტორანში, როცა ღვინით გალემილი თავადი თენგიზი რევოლვერის გასროლით მეგობრის თავზე დადგმული ღვინიანი ბოთლის გატეხას ცდილობს. გასროლის შემდეგ მეგობარს მოკლულად ჩათვლის და თავის დასახჩობად მტკვარში ვადახტება. ეს სცენა თავისი იდეური გაზრებით ძირითადი და გადამწყვეტია. ეს არის ფილმის დრამატურგიული კოფლიქტის მთავარი დასაყრდენი. სიუჟეტის შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობა.

მრავალჯერ ჩატარებულმა რეპეტიციამ სასურველი მხატვრული შედეგი ვერ გამოიღო. ნათლად იგრძნობოდა კინემატოგრაფული ტრიუკი, მოქმედების სიყალბე, რაც არც რეჟისორს გ. მაკაროვს, არც ამ სცენის მთავარ გმირებს, ახალგაზრდა მსახიობებს ლევან ხოტივარსა და კოსტა კობიეკი არ აკმაყოფილებდათ. გადაწყდა მოეწვიათ საბრძოლო ვაზნით აღჭურვილი გამოცდილი სნაიპერი, რომელიც მთვრალი მეგობრის — კ. კობიეკის თავზე დადგმულ ღვინიან ბოთლს კაღრს გარედან გასროლილი ნამდვილი ტყვიით დაამსხვრევდა. ასეც გაკეთდა. კ. კობიეკმა და ლ. ხოტივარმა თავიანთი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით (ლ. ხოტივარი სურათში „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ ანალოგიური სიტუაციის დროს ერთხელ უკვე იყო დაჭრილი) უზრუნველყვეს ამ სცენის ნორმალური გადაღება, რამაც სცენას სრულყოფილი, რეალური და ბუნებრივი ელფერი მისცა. ცხადია, ეს „თამაში“ შესრულების ფორმის მხრივ მისაბაძი არ არის, მაგრამ შემოქმედის მიერ თავისი პროფესიის მიმართ თავდადებულ დამოკიდებულებას და დიდ პატივისცემას კი გამოხატავს, ლაპარაკობს იმ ენთუზიაზმზე, რომლითაც აღბეჭდილნი იყვნენ ჩვენი მსახიობები.

სამმა ათეულმა წელმა განვლო ამ ფილმის გამოსვლის დღიდან. ლევან ხოტივარს, ამ ფილმის მთავარი როლის ნიჭიერად შემსრულებელ მსახიობს, მიუხედავად დროთა სვლისა, მაინც შერჩა ამ ფილმისადმი, როგორც გარკვეული შემოქმედებითი მოვლენისადმი დიდი სიყვარულის გრძნობა. ეს სიყვარული, ეს თბილი დამოკიდებულება და სათუთი მიდგომა განსაკუთრებით ნათლად ჩანს დღეს მისი, როგორც რეჟისორის, ხელმძღვანელობით ამეტყველებულ ვარიანტში.

ფილმში გამოყენანილი ხასიათების შესატყვისად შერჩეულმა მსახიობთა შეანინშნამა დიქციამ, ინტონაციამ, დიალოგებისათვის განკუთვნილმა სრულიად ახლად შექმნილმა სიტყვიერმა მასალამ (დიალოგის ავტორი რევაზ ებრალიძე), კარგად შერჩეულმა მუსიკამ (კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე), ხმის ბუნებრივმა ჩაწერამ (ხმის ოპერატორი რაფიელ კეზელი) და სხვა მხატვრულმა კომპონენტებმა ახალი სიცოცხლის ძალით აღავსეს ფილმი, ახალ სიმაღლეზე აიყვანეს იგი.

ფილმ „ნახვამდის“ ამეტყველება და გახმოვანება ქართული მუნჯი ფილმების ამეტყველების დასაწყისს წარმოადგენს. იგი სათავეს უდებს ამ დიდ საქმეს და თავის დროზე გახმაურებული ეს ფილმი ამით ქართული კინემატოგრაფიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობით გვევლინება.

პირველი გამოცდა ბრწყინვალედ დამთავრდა. ახლა ჯერი სხვა ფილმებზეა. რიგში დგანან სხვა „მუნჯები“, რომლებიც უნდა ამეტყველდნენ, ალაპარაკდნენ „სამი სიცოცხლე“, „ვინ არის დამნაშავე“, „ბელა“, „ბიული“, „ელისო“, „ახალგაზრდობა იმარჯვებს“, „საკანი № 79“, „ხაბარდა“, „უკანასკნელი ჯვაროსნები“, „ეუნუნას მზითევი“ და სხვა ფილმები მოელიან სასურველ დასტაკრებს, რომლებიც თავიანთი დიდი ხელოვნებით ენას ჩაუდგამენ, ალაპარაკებენ, ახალ სიცოცხლეს მისცემენ თვითეულ მათგანს.

ჩვენმა მაყურებელმა კვლავ უნდა იხილოს ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის პირველი პერიოდის ნაწარმოებები. ჩვენმა ახალგაზრდობამ, რომელმაც არ იცის ამ პერიოდის ქართული კინოს მხატვრული პროდუქცია, უნდა ნახოს ეს ფილმები და ნათლად წარმოიდგინოს ის შესანიშნავი საფუძველი, რომელზეც აშენდა მშობლიური კინოხელოვნება.

ეს იქნება დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის საქმე. ქართული კინოს ოსტატებმა იგი უსათუოდ უნდა განახორციელონ.

კარლო გოგოძე.

• • •

სურათზე: კადრი ფილმიდან „ნახვამდის“. თენგიზი — ლევან ხოტივარი (მარცხნივ), მეგობარი — კოსტა კობიეკი.

მეგობრის ხსოვნას

გარდაიცვალა

მარკელენ (ეორა) პეტრეს-ძე ხეთაგური. ჟურნალისტთა რიგებს გამოაკლდა ენერგიული, თავისი საქმის მოყვარული, კვალიფიციური შემოქმედი მუშაკი.

იგი ჩვენი კოლექტივის წევრი იყო, გაზეთი „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი. რამდენიმე დღის წინათ ის ჩვენ შორის იყო, ჩვენ გვერდით შრომობდა და იღვწოდა ჯერ ისევ ახალგაზრდა, ჯანსაღი და ენერგიით აღსავსე (მას ახლახან შეუსრულდა ორმოცი წელი). ჩვენი რედაქციის საქალდღიანებში არის მისი დაუბეჭდავი კორესპონდენციები, რომლებსაც ჯერ კარგად არც კი შეშრობიათ მელანი... ჩვენ ერთი შეხედვითვე ვიცნობდით, ათას ხელნაწერში გამოვარჩევდით მის ხელნაწერს, ისე გარკვევით, სუფთად და ფაქიზად შესრულებულს, როგორიც თვით ავტორი იყო.

რედაქციაში იშვიათად გამოჩნდებოდა, უფრო ხშირად ტელეფონში გვესმოდა მისი ხმა, და რაზეც არ უნდა დაგვლაპარაკებოდა, ჩვენ შორიდან ვგრძნობდით მის ბავშვურად ბიამიტ ღიმილს, ისე რიგად რომ აშუქებდა და აჩენდა მთელ მის ადამიანურ ბუნებას, სულსა და გულს.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მ. ხეთაგური უპირველეზობიოდ, უმწიკლოდ და კეთილსინდისიერად შრომობდა. ეს კეთილსინდისიერება ეტყობა ყოველ მის ნარკვევს, ფელეტონს, კორესპონდენციას, „კომუნისტის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა.

ჟურნალისტური მოღვაწეობა მ. ხეთაგურმა ახალგაზრდობიდანვე დაიწყო. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ხაშურის რაიონული გაზეთის რედაქციაში ჯერ ლიტერატურულ მუშაკად მუშაობდა, შემდეგ პასუხისმგებელ მდივნად.

1949 წელს მ. ხეთაგური საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ორწლიან პარტიულ სკოლაში შევიდა, რომლის დამთავრების შემდეგ ერთხანს კვლავ ხაშურის რაიონული გაზეთის რედაქციაში მუშაობდა, მერე — თბილისის საოლქო გაზეთ „გამარჯვების“ საკუთარ კორესპონდენტად, ხოლო 1953 წლიდან სიკვდილამდე გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი იყო გორის, კასპის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონებში.

აღარ არის ძვირფასი მეგობარი და ამხანაგი, კარგი ჟურნალისტი და შესანიშნავი „ოჯალაქე“. მაგრამ მისი ნათელი ხსოვნა მუდამ სათუთად იქნება შენახული ჩვენს გულში, ისე, როგორც მის საუკეთესო ნარკვევებს, წერილებს, ფელეტონებს სათუთად ინახავენ ჩვენი გაზეთის მრავალტომიანი კომპლექტები.

ამხანაგების ჯგუფი.

ჰიქმეთი აფხაზურად

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზურმა დრამამ მაყურებლებს მორიგ პრემიერად უჩვენა **ნაზიმ ჰიქმეთის** პიესა — **„ახირებული“.**

სპექტაკლი დადგა მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა ნიკოლოზ ჩიქოვანმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ჰაიკ მარტიროსიანს.

ნ. მიქაშავიძე.

იღეგენ მოგეგულ ავტომანქანებს

თბილისის მსუბუქი ავტომობილების მაღაზიამ ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარის კოლმეურნეს სპვლ შუტკარაძს გადასცა მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“, რომელიც მან მოიგო საქართველოს სსრ 1964 წლის ფუნესა და ნივთების ლატარიის (მეთერთმეტე გამოშვების) ა. წ. 25 ნოემბერს დუშეთში გამართულ ტირაჟში. „მოსკვიჩი“ გადაეცათ შუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის ჩაის ფაბრიკის ბუხალტერს მირონ თოდუას და თბილისელ აბრამ ტაქიშვილს. თბილისელ არტურ ბლეიერს გადაეცა ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

ამ ლატარიით პრანინოები მიიღეს ერთმა თბილისელმა, ერთმა სოხუმელმა და მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილ-აჯლოს მცხოვრებმა.

რამდენიმე დღეში რესპუბლიკის შემნახველმა სალარომებმა განაღდეს ლატარიის ათეულ ათასობით ბილეთი, რომლებსაც მოგება ხვდა.

სულ წლის დამდეგიდან მოგებათა სახით გაიცა 100 ავტომანქანა, 150 პიანინო, ასობით მაცივარი, ტელევიზორი და სხვა ფასიანი ნივთები.

მიმდინარე წლის 25 დეკემბერს ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართება ქალაქ თბილისში. ტირაჟში გათამაშდება 172.500 მანეთის ფასეულობა 103.500 ფულადი და ნივთმოგება.

ა. ზტეინბერგი.

სმელთაშუაზღვის სუნთქვა

ჩვენი პლანეტის ამინდი

ზამთრის სითბო ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილში გამოწვეული იყო თბილი სიოთი, რომელიც აქ ხმელთაშუა ზღვიდან აღწევდა. სამხრეთ-დასავლეთის ქარები სამი-ხუთი კილომეტრის სიმაღლეზე ჩრდილოეთისაკენ მიეჭეკებოდნენ პაერის ნაკადებს. არხანგელსკის ოლქსა და კოლის აკეანის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც, სადაც დიდი ხნის მანძილზე ბატონობდა ორმოცგრადუსიანი ყინვები, ტემპერატურამ ნულს ზევით აიწია. დათბა ბარენცის ზღვის სანაპიროზე.

სხვა სურათი შეიქმნა დასავლეთ ციმბირში. აქ არქტიკულმა ანტიციკლონმა ძლიერი სიცივე მოიტანა — მინუს 30 — ნოვოსიბირსკისა და კემეროვოს ოლქებში, მინუს 46 — ტომსკის ოლქში. მაგრამ ყველაზე დაბალი ტემპერატურა რეგისტრირებულია ომმიაკონში — 56 გრადუსი, თოვლი, ქარბუქი, ხშირი სტუმრებია ხაბაროვსკის, ზღვისპირეთის მხარეში და სახალინზე. კამჩატკისა და კურილის კუნძულებზე ქარის სიჩქარე საათში 100 კილომეტრს აღწევდა.

ციკლონები ჩრდილოეთ ატლანტიკაშიც ბობოქრობდნენ. მათ ხშირი წვიმები გამოიწვიეს ბრიტანეთის კუნძულებსა და სკანდინავიის სანაპიროზე. თურქეთის თავზე წარმოიქმნა ციკლონი. იგი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთისაკენ გაეძართა და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სანაპირო ნაგებობებს ისრაელსა და ლიბანში.

სამხრეთ ნახევარსფეროში ზაფხულია. ჩილეში გვალვა, თვეების განმავლობაში არ უწვიმია. იღუპება მოსავალი და პირუტყვი. ადგილობრივ პრესაში განხილულ ეს საკითხებს, რომ ყუმბარები დაუშინონ თოვლიან მწვერვალებს და ამ გზით მიიღონ წყალი.

უახლოეს დღეებში სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთში ზამთრის თბილი ღრუბლიანი ამინდები დარჩება. ღრუბლიანი, წვიმიანი ამინდები, ძლიერი ქარი იქნება ბალტიისპირეთში. ცენტრალურ ზოლში შედარებით თბილი ამინდი იქნება.

უკრაინაში ტემპერატურის დროებითი დაწევის შემდეგ კვლავ დათბება. იწვიმებს. რვა გრადუსამდე ყინვები მოსალოდნელია ვოლგაზე და ჩრდილოეთ კავკასიაში.

აცივდება ყაზახეთში. სამაგიეროდ იკლებს ყინვები, ძლიერი ქარი და თოვა ურალის ჩრდილოეთით და დასავლეთ ციმბირში.

ა. სნიტკოვსკი.

ოჯახის სიხარული

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). ამას წინათ სოფელ ხაბუმის მკვიდრს ნათელა კვარაცხელია-ყალიჩავას სამი ქალიშვილი შეეძინა. ბავშვები ნორმალურად იზრდებიან და ჯანმრთელად არიან. ბავშვების დედაც ჯანმრთელად არის და თავს კარგად გრძნობს.

უსაზღვროა ნოდარისა და ნათელა ყალიჩავების სიხარული. მათ ახლა ხუთი შვილი ჰყავთ — ორი ვაჟი და სამი ახლახან შეძენილი ქალიშვილი.



ფოტო ა. ფარულავანი.

დინამოელები სამხრეთ ამერიკაში

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ მოსკოვის „დინამომ“ დამთავრა ტურნე პერუში. უკანასკნელ მატჩში მან დაამარცხა საკლუბო გუნდი „დეპორტივო მუნისიპალ“ ანგარიშით 3:1 და მიიმგზავრება ვენესუელაში.

ჩვენს გუნდში იყვნენ: იაშინი, კეკარეკი, მუდრიკი, რიაბოვი, ბელოტოვი, მასლოვი, სერებრიანიკოვი, ჩისლენკო, მეტრეველი, მესხი, ფადეევი.

ანგარიში ბახსნა მესხმა, შემდეგ კი სერებრიანიკოვმა ორი ბურთი გაიტანა.

ტანვარჯიშულ იარაღებზე

გუშინ კიევის სპორტის სასახლეში დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში. ტანვარჯიშულ იარაღებზე გამოდის 300-მდე სპორტსმენი.

სავალდებულო პროგრამით ვარჯიშის შემდეგ დაწინაურდა ვ. ლისიცკი, რომელსაც 57,35 ქულა აქვს. ლიდერს 15 მეასედი ქულით ჩამორჩება ვ. ლეონტიევი.

სპორტული ქრონიკა

△ **ფინეთში** ტურნე დაამთავრა სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა გუნდმა შაიბიან ჰოკეიში. უკანასკნელი შეხვედრა საბჭოთა გუნდს ჰქონდა ფინეთის ნაკრებთან. ჩვენმა ჰოკეისტებმა ეს მატჩიც აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

△ **თბილისში** დაიწყო სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ძალოსნობაში. ასპარეზობის პირველ დღეს გამოვლინდნენ ახალი ჩემპიონები. ესენი არიან — სოხუმელი ა. ჭოლოკიანი, რიგელი ა. დინიკოვი და დნეპროპეტროვსკელი მ. გერლიმანი.

△ **გუშინ** მინსკში დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ჭიდაობა სამბოში. აქ გამოდიან ოთხი წონითი კატეგორიის სპორტსმენები. საქართველოდან მონაწილეობენ: კაცაიშვილი, ქუცნაშვილი, მარტყოფლიშვილი და სხვ.

ჩემპიონი დაწინაურდა

გუშინდელ, მეთოთხმეტე ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერების ნ. გაფრინდაშვილისა და ე. რუბცოვას პარტიები. მაგრამ იმ მაყურებლებს, რომლებიც რამდენადმე დაგვიანებით მივიდნენ რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში, ერთი ამ პარტიათაგანი უკვე დამთავრებული დახვდათ. ე. რუბცოვასა და ლ. ვოლპერტის შეხვედრის სადემონსტრაციო დაფაზე აღინიშნა: „თეთრები დაბენძნენ“. ამრიგად, ლენინგრადის ჩემპიონმა „დაამუხრუჭა“ მოსკოვის ჩემპიონის წინსვლა.

სიცილიური პარტიის ერთ-ერთ ვარიანტში ე. რუბცოვა მოუმზადებლად შეეცადა შავების დალაშქვრას. ლ. ვოლპერტმა კარგად ისარგებლა ამ გარემოებით და მოიგო პაიკი. სანამ ე. რუბცოვა ცდილობდა ცენტრში აქტივობის გამოჩენას, ლ. ვოლპერტმა განახორციელა გარდევეა ლაზიერის ფრთაზე. მან ლაზიერის მარტივი, მაგრამ ეფექტური შეწირვით ორ ეტლში მეტოქეს ყოველგვარი „კონტრთამაშის“ საშუალება მოუსპო. ამასობაში ლენინგრადის ჩემპიონის ორი ეტლის შეერამ თეთრების ბანაკში კიდეც გადაწყვიტა პარტიის ბედი. 25-ე სვლაზე ე. რუბცოვამ თავი დამარცხებულად ცნო.

ნ. გაფრინდაშვილ-ა. ჩაიკოვსკაიას შეხვედრაშიც სიცილიური პარტია გათამაშდა. მსოფლიოს ჩემპიონმა თეთრებით ფიგურათა სწრაფი განვითარების მიზნით განახორციელა პაიკის დროებითი შეწირვა, შემდეგ აღადგინა მატერიალური წონასწორობა და ერთგვარი პოზიციური უპირატესობაც მიიღო. ორმხრივი შესაძლებლობით სავსე მწვავე პოზიციაში ნ. გაფრინდაშვილმა მეტოქეს გაბედულად შესთავაზა ცენტრალური პაიკი. ამ კომბინაციის მოსალოდნელი შედეგების გათვლა დაფასთან მეტად ძნელი იყო, ამიტომ ჩაიკოვსკაიამ არ მიიღო „საჩუქარი“. შემდგომ კომბინაციურ ბრძოლაში თეთრებმა აშკარად აჯობეს მეტოქეს. ჩაიკოვსკაია იძულებული გახდა დაეთმო პაიკი, მაგრამ მისი მდგომარეობა არ შემსუბუქებულა. მსოფლიოს ჩემპიონმა ზუსტი და თანმიმდევრული თამაშით კიდევ უფრო გაზარდა თავისი უპირატესობა. პოზიციაში, სადაც ნ. გაფრინდაშვილს უკვე სამი ზედმეტი პაიკი ჰქონდა, ჩაიკოვსკაიამ წინააღმდეგობა შეწყვიტა.

ნ. ალექსანდრიამ თეთრებით პაიკი მოუგო რ. ვაპნიჩნაიას. ცაიტნოტში უკრაინის ჩემპიონი არაზუსტად თამაშობდა და გადადებულ პოზიციაში გაუჭირდება ყაინის მიღწევა. მ. რანიკუმ ორი ტაქტიკური „მახე დაუგო“ ო. ანდრეევას, ჯერ მან პაიკი მოიგო, შემდეგ ხარისხი. მიუხედავად ამისა, გადადებულ პოზიციაში ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლაა მოსალოდნელი. საპრიზო ადგილის კიდევ ერთი პრეტენდენტი ვ. ბორისენკო, ეტყობა, გადადებულ პარტიაში ყაინს უნდა დასჯერდეს ე. ბიშარდთან.

ბ. მოსიონეიკმა სწრაფად მოუგო ო. რუბცოვას. „ზვილის წაგებამ იმოქმედაო“ — განაცხადა პარტიის შემდეგ მსოფლიოს ექსჩემპიონმა. კ. ზვორიკინამ სძლია უ. ეურეს, ა. ეერგლემ — ი. გასპარიანცს. ყაინზე შეთანხმდნენ ზ. ნახიმოვსკაია და რ. კაზმინა. ო. კაცკოვა-ნ. კონოპლიოვას პარტია გადადო რთულ პოზიციაში.

თოთხმეტი ტურის შემდეგ შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერია ნ. გაფრინდაშვილი. მას 11,5 ქულა აქვს. 10,5 ქულით მეორე ადგილს ინარჩუნებს ე. რუბცოვა. 9,5 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლა ლ. ვოლპერტმა. 8,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ნ. ალექსანდრიას, ვ. ბორისენკოსა და მ. რანიკუს.

დღეს რესპუბლიკის ცენტრალურ საჰადრაკო კლუბში გაიმართება გადადებული პარტიების დამთავრება.

გ. გამრეკელი.

მსოფლიოს პირველობა ფეხგურთში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო დაწერილებითი ინფორმაცია მომავალი 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მომზადების მსვლელობის შესახებ.

სახელმწიფოთა სარეკორდო რაოდენობამ — 71 შეიტანა განცხადება მსოფლიოს მერვე ჩემპიონატში მონაწილეობისათვის, რომლის ფინალურ ნაწილს ინგლისელები 1966 წელს იხილავენ. ყველა წინასწარი შეხვედრა უნდა დამთავრდეს 1965 წლის დეკემბრამდე. შესარჩევ შეხვედრებში გამარჯვებულნი: ევროპის ცხრა გუნდი, 4 ამერიკის, ერთი აზია-აფრიკა-ავსტრალიის წარმომადგენელი, პლუს ბრაზილია, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი, და ინგლისი, როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორი, განაწილებულნი ექვნებიან ფინალურ ჯგუფებად. წილისყრა გაიმართება 1966 წლის იანვარში.

შეხვედრები ჯგუფებში ჩატარდება 12-დან 20 ივლისამდე. „ა“ ჯგუფი ითამაშებს ლონდონში, „ბ“ ჯგუფი — ნიუკასლში, „ც“ ჯგუფი ლივერპულში, „ე“ ჯგუფი — შეფილდში. 23 ივლისს — მეოთხედფინალები, 26-27 ივლისს — ნახევარფინალები, 29 ივლისს — მატჩი მესამე ადგილისათვის და 30 ივლისს — ფინალური მატჩი ლონდონში.

აფრიკის სახელმწიფოებმა დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტით მიმართეს ფიფას. საქმე ის არის, რომ ერთ ჯგუფში წინასწარი შეხვედრისათვის შეეყვანილი იყო 19 სახელმწიფო — აზიის, აფრიკისა და ავსტრალიის. აქედან ფინალში დაშვებული იყო მხოლოდ ერთი გუნდი. და არაფერია გასაკვირველი, რომ ამან პროტესტი გამოიწვია. განამ და ტუნისმა უარი განაცხადეს მონაწილეობა მიიღონ წინასწარ შეხვედრებში და წინადადებით მიმართეს აფრიკის სხვა ქვეყნებს ბოიკოტი გამოეცხადებინათ.

ფიფამ არ შეცვალა თავისი აღრინდელი გადაწყვეტილება და აფრიკის 13 სახელმწიფომ გამოაცხადა, რომ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას წინასწარ შეხვედრებში.

ნ. სტორი.

მოსკოვი.

არმიელებს — ბრინჯაოს მედლები

როგორც ცნობილია, XXVI საკავშირო ჩემპიონატში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. პირველობის დამთავრების შემდეგ ცსკა-ს გუნდი ტურნეს მართავდა საზღვარგარეთ, რის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.

და აი მოსკოვში მოეწყო პრიზიორთა დაჯილდოება. საღამოზე წაიკითხეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშალ რ. ი. მალინოვსკის ბრძანება, სადაც ცსკა-ს ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს მადლობა გამოეცხადათ.

გუნდს გადაეცა მესამე ხარისხის დიპლომი და ვიმპელი. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ნ. რიაშინცევმა არმიელ ფეხბურთელებს გადასცა ბრინჯაოს მედლები. დიპლომით და ვიმპელით დაჯილდოებულია უფროსი მწვრთნელი ვ. ნიკოლაევი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები — 12 დეკემბერი

რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — წყალდიდობა (მე-20 და გადაცდენილი ამონმენტები), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ბრალდება (ამონ. გარეშე), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (ამონ. გარეშე), **გრიბოედოვის სახელობის** — საჭიროა მატყუარა (მე-15 ამონ. მე-3 წარმოდგენა).

ტელევიზია — 12 დეკემბერი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — თქვენთვის, პატარებო! „ცეროდენას ეკრანი“, 18.15 — საინტერესო შეხვედრების კლუბი, 19.00 — სოფლის შუა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერება, 21.20 — მხატვრული ფილმი „ხაბერის ფოტო“, 22.40 — ახალი ამბები.

ამბავი ერთ ფოტოზე

ეროვნული ბურთი



დაეხმარნენ თურქ მეზღვაურებს

ბათუმი. (საკ. კორ.). მოტორიან-იალქნიანი სანდალი „ბიუტეფეტ“ თურქეთის ნავსადგურ სამსუნდან გამოვიდა და ტვირთი ხოფაში ჩაიტანა. უცბად ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა, მძვინვარე ტალღებმა სანდალი ღუზას მოსწყვიტა. ტვირთი და ადამიანები საფრთხეში ჩავარდნენ. გამოსავალი ერთი იყო — ღია ზღვაში გასვლა. ასეც მოიქცნენ. თურქმა მეზღვაურებმა გეზი ბათუმის ნავსადგურისაკენ აიღეს. მათ კარგად იცოდნენ, რომ საბჭოთა ნავსადგურში სტუმართმოყვარულად მიიღებდნენ და დეხმარებოდნენ. სულ მალე ბათუმის სანაპიროზე გამოჩნდა თურქეთის კიდევ მეორე სანდალი „კაფტანლარი“, რომელსაც